



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080133738795419

№ 2996

11 / ივლისი / 2019 წ.

შპს „კრწანისის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“;

ტენდერის ნომერი: NAT190000038;

შესყიდვის ობიექტი: 15200000 – მზა და დაკონსერვებული თევზი;

მიმწოდებელი: შპს „კრწანისი“ (ს/ნ: 404391715);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 17 და 18 ივნისს წარმოდგენილ იქნა ააიპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ 2019 წლის 17 ივნისის №182 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6427) და 18 ივნისის № 186 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №6505), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „კრწანისი“ (ს/ნ: 404391715) მიერ NAT190000038 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2019 წლის 31 იანვრის № 16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „კრწანისის“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე gogoladzezurab@yahoo.com, 2019 წლის 24 ივნისის № 2390 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 31 იანვრის № 16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 17 ივნისის №181 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 4 იანვარს ააიბ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ გამოაცხადა NAT190000038 ელექტრონული ტენდერი გაყინული თევზის (CPV15221000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 25 იანვრის № 5 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კრწანისი“ (ს/ნ: 404391715) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2019 წლის 31 იანვარს გაფორმდა № 16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა გაყინული თევზი შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 47 984,56 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 ივლისი.

4.4. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 19 თებერვლის № 59 წერილით ეცნობა, რომ მიწოდებულ პროდუქციას დაუდგინდა წუნი, კერძოდ, მისი ინსპექტირებისას გამოვლინდა ორგანოლეპტიკური შეუსაბამობა. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 28 თებერვლის № 74 და 1 მარტის № 76 წერილებით დგინდება, რომ წუნი დაუდგინდა ასევე 2019 წლის 21 თებერვალს მიწოდებულ პროდუქტსაც.

4.5. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 17 ივნისის № 181 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

4.6. საქმეში არსებული 2019 წლის 15 მაისის საგადახდო დავალებითა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ფაქტობრივი გადახდებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიანოდა 4 048,83 ლარის ღირებულების საქონელი, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 8%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „კრწანისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მიწოდებულ იქნა 4 048,83 ლარის ღირებულების საქონელი, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 8%-ს შეადგენს. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტის გათვალისწინებით, შპს „კრწანისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „კრწანისი“ (ს/ნ: 404391715) 2019 წლის 12 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად 

ზაზა ნანობაშვილი